ოქმი N 1

24.11.2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონ თეიმურაზ ნადირაძის ანგარიში ქალაქ-მუზეუმის, ძელქვინის, კახიანოურისა და საფიჩხიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან .

შეხვედრის დრო: 2022 წლის 24 ნოემბერი. 15:00 სთ.

შეხვედრის ადგილი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

საკონფერენციო დარბაზი N102

ქ. ქუთაისის ქალაქ-მუზეუმის, ძელქვინის , კახიანოურისა და საფიჩხიისა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ-მუზეუმის, ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი თეიმურაზ ნადირაძე .

შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალაქ-მუზეუმის, ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (60 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გია ბასილაძე , ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ზაქრო მამასახლისი, მერის წარმომადგენლები: ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი გაგა ბოჭორიშვილი, კახიანოურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონი ია შენგელია, ძელქვიანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი ვალერიან შაშიაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი

სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ქალბატონი თეონა მელქაძე , ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე ნანა ძოწენიძე.

შეხვედრა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალაქ-მუზეუმის, ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა დეპუტატმა , საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა თეიმურაზ ნადირაძემ და წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგი დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალაქ-მუზეუმის , ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის , საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონი თეიმურაზ ნადირაძის 2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ქალაქ-მუზეუმის , ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის , საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თეიმურაზ ნადირაძის 2022 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქალაქ-მუზეუმის , ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი თეიმურაზ ნადირაძე: 2021 წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საფუძველზე ვარ ქ. ქუთაისის ქალაქ-მუზეუმის, ძელქვიანის, კახიანოურის, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიაზე მაჟორიტარი დეპუტატი,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი,
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქა ლაქო მეურნეობის კომისიის წევრი.

მიმდინარე წელს ელექტრონულ საქმის წარმოებაში მატერიალური დახმარების თაობაზე ჩემს სახელზე შემოვიდა 62 განცხადება. ყველა განცხადება განხილულია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, შესაბამისი შუამდგომლობით გადაგზავნილ იქნა ქუთაისის მინიციპალიტეტის მერიაში და მოხდა მათი დაკმაყოფილება.

ჩემს სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოში , სამუშაო კაბინეტში ვხვდები მოსახლეობას, ვისმენ მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები.

საანგარიშო პერიდში შევხვდი 100-ზე მეტ მოქალაქეს და შეძლებისდაგვარად გავუწიე სხვადასხვა სახის დახმარება.

აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების სამუშაო პროცესებში;

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 12 კომისიის სხდომა, კომისია განიხილავს ჯანდავისა და სოციალურ პროგრამებს, აქტიურად არის ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტების განხილვაში. 2023 წელს გათვალისწინებულია 30 პროგრამის განხორციელება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 13 სხდომა, განხილულია 84 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. კომისიის სხდომებზე განიხილება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობა თუ სამომავლო პერსპექტივები, პროგრამებსა თუ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს, ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვას, ახდენს მათზე სათანადო რეაგირებას .

მოგახსენებთ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოების და მიმდინარე პროექტების შესახებ ;

ფოლკლორის სასახლის მიმდებარედ გარემონტდა დაზიანებული სპორტული ტრენაჟორი,

ზ. ანჯაფარიძის ქუჩის 102 მიმდებარედ მოეწყო საბავშვო გასართობი ატრაქციონი, იგეგმება ატრაქციონის შემოღობვა,

ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა შადრევნის რეაბილიტაცია,

მიმდინარეობს : ცენტრალურ მოედანზე ყოფილი მუზეუმის რეაბილიტაცია, გელათის ქ. N2 საცხოვრებელი სახლის ფასადისა და ფალიაშვილის ქუჩის ფასადების რეაბილიტაცია , ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია , ჯიბლაძისა და ხახანაშვილის უჩების რეაბილიტაცია, ასსაფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია.

რეაბილიტირებულ იქნა კიბეები : წერეთლის ქ. მე-3 შესახვევში, აღნიშნული კიბეებით წერეთლის ქუჩის მოსახლეობა უკავშირდება თამარ მეფის ქუჩას, ჩატარდა მანდარიას ქუჩის რეაბილიტაცია საყრდენი კედლით, გაპონოვის მე-4 შეს . N1 საყრდენი კედელი , მწვანე ყვავილას ქ. N12 საყრდენი კედელი.

ჩატარდა ღვარსადენის რეაბილიტაცია და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა: ბროსეს ქუჩაზე, მიმდინარეობს ტიციან ტაბიძის ქ. ღვარსადენის რეაბილიტაცია,

კაპიტალურად მოეწყო სანიაღვრე არხი ფოთის ქუჩაზე (ე.წ. „თამარას ღელე“);

გაიწმინდა სანიაღვრე არხები შემდეგ მისამართებზე : ფოთის ქუჩა, განჯის ქუჩა, მანდარიას ქუჩა; წერეთლის ქუჩა, წერეთლის ქუჩა მე-5 ჩიხი, ფოთის ქ. N 38 და N 40, განჯის ქ. 1 ჩიხი;

საკანალიზაციო სისტემა გაიწმინდა მისამართებზე: წერეთლის მე-5 ჩიხი, განჯის ქ. N15, ფოთის ქ. N38 ; დ. ბერძენაძის ქუჩაზე სრულად გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი; დ. აღმაშენებლის გამზ. N 9-11-13 ბინებში კაპელოტით გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი;

წყლის ქცევა აღმოიფხვრა მისამართებზე: ფოთის ქ. N 1, N10, თამარ მეფის ქ. N96 , N105-ში ; ზ. ანჯაფარიძის ქ. N 86-ის მიმდებარედ რამდენჯერმე აღმოიფხვრა წყლის ქცევა, დ. ბერძენაძის ქუჩა N 3-ის მიმდებარედ აღდგა დაზიანებული წყლის სისტემა.

ასფალტის საფარი დაიგო : კოსტავას ქუჩის პირველი ჩიხში , გელათის ქუჩა მე-2 ჩიხში, თამარ მეფის ჩიხში,

ზ. ანჯაფარიძის ქუჩაზე დაიგო ორმოული, დ. აღმაშენებლის გამზირზე დაიგო საფეხმავლო ბილიკი.

დაიხაზა მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებები და გზები წერეთლისა და მანდარიას ქუჩებზე ;

დაზიანებული გარე-განათების სანათი წერტილების აღდგა მოხდა : ფოთის ქ. N38 (სტადიონზე) , თამარ მეფის ქ. N105 (სტადიონზე);

დ. აღმაშენებლის გამზ. N 9 ბინის ეზოში მოხდა საფრთხის შემცველი ელექტრო სადენების გამართვა ;

გაითიბა და ეკალ-ბარდებისგან გაიწმინდა: მანდარიას ქუჩის ფერდობი, თამარ მეფის ქუჩა N90, N97, N105, ფოთის ქ. N38; ზ. ანჯაფარიძის ქ. N 19 ბინის ეზო .

გადაიჭრა მაღალი ტანის ხეები : წერეთლის ქ. N100, N153 , თამარ მეფის ქ. N101, დ. აღმაშენებლის გამზირზე ;

ზ. ანჯაფარიძის ქ. N 9-ის მიმდებარედ გადაიბელა 2 ძირი ხე , ზ. ანჯაფარიძის ქ. N102-ის მიმდებარედ გადაიბელა საფრთხის შემცველი ხე.

ქვეწარმავლების დასაფრთხობად ფოთის ქ. N 38-სა და თამარ მეფის ქ. N97 -ში განხორციელდა ტერიტორიების ქიმიური რეპლენტით დამუშავება.

სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სურსათის ნობათით დახმარება გაეწია 45 ოჯახს: მრავალშვილიანებს, სოციალურად დაუცვლებს, მადლიერების სახლის ბენეფიციარებს ;

„გადაუდებელი რეაგირების" პროგრამით ისარგებლა 4-მა ოჯახმა;

ბიუჯეტის პროექტით გაათვალისწინებულია: მ. კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია ; ჩეჩელაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი დასრულებულია, მალე გამოცხადდება ტენდერი სამუშაოების შესრულებაზე ; ასევე მზად არის წერეთლის მე-5 ჩიხის თავზე ღვარსადენის და კედლის შევსების პროექტი და გამოცხადდება ტენდერი სამუშაოების შესრულებაზე; კიბულის ქუჩაზე ღვარსადენის პროექტი გაკეთებულია, ველოდებით ტენდერის გამოცხადებას სამუშაოების შესრულებაზე, ციციაშვილის ქუჩაზე სპორტული მოედნის პროექტი კეთდება .

ანგარიშის წარდგენის შემდეგ ამომრჩეველმა მადლობა გადაუხადა ბატონ თეიმურაზ ნადირაძეს გაწეული მუშაობისათვის, ცალკეულმა მოქალაქეებმა ითხოვეს სხვადასხავა სახის დახმარება , რომელიც შესძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება .

იყო შეკითხვები მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებთან დაკავირებით, კვლავ აქტუალურია ინფრასტრუქტურული პროექტები ; გამოიკვეთა საკითხები რომლებიც გათვალისწინებული იქნება მუშაობის პროცესში :

- ცენტრალური ბულვარის რეაბილიტაცია,
- ნიუპორტისა და შაუმიანის ქუჩების რეაბილიტაცია,
- ჩეჩელაშვილის ქუჩის რებილიტაციის დასრულება,
- მ. კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია,
- ცენტრალურ მოედანზე ყოფილი მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის დასრულება,

- სპორტული მოედნებისა და მინი სტადიონების მოწყობა, სპორტული ტრენაჟორების განახლება .

ამით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტების ქალაქ-მუზეუმის, ძელქვიანის, კახიანოურისა და საფიჩხიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თეიმურაზ ნადირაძის შეხვედრა ამომრჩეველთან დასრულდა .

ქ. ქუთაისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი,

საკრებულოს თვამჯდომარის მოადგილე : /თეიმურაზ ნადირაძე /